საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და
სპორტის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო
კონსერვატორია
თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი:(+995 32) 2 999 144,
www.tsc.edu.ge ელ–ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge

KA000042907519220

№ 02-91-R **04 / ივნისი / 2020 წ.**

ბრძანება

სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო პროცესის აღდგენის განსახორციელებლად შენობის გახსნის შესახებ

საქართველოს კანონის "უმაღლესი განათლების შესახებ" 22-ე მუხლის, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N05/90 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების მე-14 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, მიმდინარე წლის 5 ივნისიდან გაიხსნას კონსერვატორიის სარგებლობაში არსებული სამი შენობიდან, შენობა, მდებარე ქ. თბილისი, გრიბოედოვის 8-10-ში.
2. შენობაში სასწავლო პროცესის განსახორციელებლად საქმიანობა წარიმართოს ეტაპობრივად.
3. სასწავლო დეპარტამენტის და ადმინისტრაციული ერთეულების ხელმძღვანელების მიერ წინასწარ მომზადებული გეგმა-გრაფიკის საფუძველზე, მიმდინარე წლის 5 ივნისიდან შენობაში სამეცადინოდ შესვლა შეეძლებათ მხოლოდ საფორტეპიანო, კამერული, სიმებიანი, საკონცერტმაისტერო და სავალდებულო ფორტეპიანოს მიმართულებების პედაგოგებს, კონცერტმაისტერებს და სტუდენტებს, ვოკალის და ჩასაბერი სპეციალობის ილუსტრატორების გარეშე და ადმინისტრაციულ პერსონალს.
4. მიმდინარე წლის 8 ივნისიდან შენობაში შესვლა შეეძლებათ აკადემიური სიმღერის მიმართულების პედაგოგებს, კონცერტმაისტერებს და სტუდენტებს.
5. მიმდინარე წლის 10 ივნისიდან შენობაში შესვლა შეეძლებათ საორკესტრო ჩასაბერი და საოპერო მომზადების მიმართულებების პედაგოგებს, კონცერტმაისტერებსა და სტუდენტებს.
6. შემომსვლელებმა უნდა დაიცვან შენობაში მათი ყოფნისათვის განკუთვნილი დღე და დრო.
7. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.tsc.edu.ge
8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. N6)

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის
სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი

ნანა შარიქაძე